

შესავალი

ადმინისტრაციის თანამშრომელთა კმაყოფილების კვლევა ჩატარდა 2017 წლის აგვისტოში. კვლევაში გამოყენებული იყო, როგორც რაოდენობრივი ასევე თვისებრივი კვლევის მეთოდი.

კვლევა ჩატარდა google form-ის გამოყენებით.

ანგარიშში წარმოდგენილია მოპოვებული მონაცემების ჯამური სურათი, გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო ადმინისტრაციის თანამშრომელთა 51%

გამოკითხვის შედეგები

ადმინისტრაციის თანამშრომელთა ასაკი მერყეობს 24-დან 58 წლამდე.

სასწავლო უნივერსიტეტში ახალგაზრდა კადრები აშკარად იგრძნობა, 92.6% არის მდებრობითი, 7.4% -მამრობითი.%. აღნიშნულის გათვალისწინებით სასწავლო უნივერსიტეტში გენდერული ბალანსი ზედმიწევნით კარგადაა დაცული. მით უმეტეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ამას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ინდიკატორის შესაბამისად.

სამუშაო გამოცდილების ხანგრძლივობა

11.4%-ერთ წელზე ნაკლები

11.4%-ერთი წელი

7.7%-4 წლიანი

11.5%-5 წლიანი

15.3%-6 წლიანი

3.8%-7 წლიანი

11.5%-8 წლიანი

7.6%-9 წლიანი

7.7%-10 წლიანი

7.7%-11 წლიანი

3.8%-20 წლიანი

სასწავლო უნივერსიტეტის თანაშრომლების უმეტესი ნაწილი სამსახურებრივი საკმაოდ დიდი გამოცდილების მქონეა. სასურველია დაკონკრეტდეს, რამდენი მათგანი ფლობს სამსახურში საგანმანათლებლო მიმართულებით მუშაობის გამოცდილებას. ანუ რა ტიპის სამსახურებრივი გამოცდილებაა

განათლების შესახებ ინფორმაცია არის შემდეგი:

- 3.8% მოსკოვის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი-ფილოლოგიის დოქტორი.
- 3.8% დაწყებითი განათლების პედაგოგიკისა და მეთოდის სპეციალობა
- 3.8% ეკონომისტი
- 3.8% ექიმი კარდიოლოგი(მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი)
- 3.8% თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტი, ფილოლოგიის დოქტორი
- 3.8% თსუ-ს სოხუმის ფილიალი, ეკონომისტი
- 3.8% ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ეკონომიკის ფაკულტეტი
- 7.7%ინჟინერ-ეკოლოგ-ტექნოლოგი, გეოგრაფიის დოქტორი
- 3.8% ისტორიის დოქტორი
- 3.8% პედაგოგიური ინსტიტუტი, უცხო ენების ფაკულტეტი
- 3.8% ჟურნალისტი
- 3.8% საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი, შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, მაგისტრატურა II კურსი საქართველოს ისტორია.
- 3.8% საშუალო სპეციალური განათლებით, მგეგმავ-ტექნიკოსი
- 23.1% უთითებს მხოლოდ უმაღლეს განათლებას,
- 3.8% უმაღლესი განათლება. კვალიფიკაცია-ეკონომისტი. ეკონომიკის აკადემიური დოქტორი.
- 3.8% უმაღლესი. თსუ. მათემატიკოსი
- 3.8% უმაღლესი. სამართალმცოდნე
- 3.8% ფილოლოგი
- 7.7% ფილოლოგიის მაგისტრი

აღნიშნული ადასტურებს, რომ საკმაოდ მრავალფეროვანია დასაქმებულთა აკადემიური განათლება, თუმცა ნათელ სურათს არ იძლევა ზევით დასმული კითხვისას. რამდენად აქვთ მათ საგანმანათლებლო სივრცეში მუშაობის გამოცდილება

მათი არჩევანი ემუშავათ ამ კონკრეტულ თანამდებობაზე განაპირობა შემდეგმა:

46.4% სურვილი აქვს გამოცდილება მოახმაროს მომავალი თაობის აღზრდას

17.9% ყველა პოზიციაზე ერთნაირი წარმატებით შეუძლია იმუშავოს

7.1% უსდ-ს ადმინისტრაციის თხოვნით/რჩევით

39.3% საქმიანობა ეხმარება პროფესიულ განვითარებაში

3.6% -სხვა

გამოკითხვა ადასტურებს, რომ სასწავლო უნივერსიტეტი ნამდვილად არის პირადი განვითარების, პროფესიული წინსვლის ადგილი, სადაც ყველას აქვს თანაბრად გააზრებული საკუთარი როლი და დაწინაურება

გამოკითხულთა 100% იცნობს ვებ გვერდს

57.1% ყოველდღე ეცნობა ვებგვერდს,

42.9% კვირაში რამდენჯერმე

ვებგვერდი საკმაოდ კარგადაა გაზიარებული თანამშრომლების მიერ და სავარაუდოდ ეს მაჩვენებელი ადასტურებს, რომ ვებგვერდი ინფორმაციულია

3.6% ფიქრობს, რომ ვაკანსიაზე შერჩევის ეტაპები ზედმეტად რთული იყო

28.6%-ზსსუ-ში ჩატარებული შერჩევის პროცესი ძალიან საინტერესო იყო და საინტერესო გამოცდილება მიიღო

3.6% ამბობს, რომ თანამშრომელთა შერჩევა უფრო მკაცრი უნდა იყოს.

64.3% თვლის, რომ შერჩევა განხორციელდა რეალური შრომითი გამოცდილებისა და კვალიფიკაციის გათვალისწინებით

3.6%-სხვა

აღნიშნული ადასტურებს შესარჩევი კომისიის გამჭვირვალე საქმიანობას. შერჩევის პროცესის ღიაობასა და ჰუმანურობას, რაც ნამდვილად მისასალმებელია

78.6% თვლის, რომ მოლოდინები სამუშაოს შესახებ სავსებით დაემთხვა

14.3% თვლის, რომ მოლოდინები ნაწილობრივ დაემთხვა

3.6% სრულიად არ დაემთხვა

3.6% უარს ამბობს პასუხის გაცემაზე

საკმაოდ კარგი მაჩვენებელია, თუმცა კარგი იქნებოდა იმ ნაწილის აზრის უფრო კარგად შესწავლა, რამელიც მიიჩნევს, რომ მოლოდინები ნაწილობრივ დაემთხვა. სასურველია მსგავსი კადრი ან როტაციის პრინციპით გადაყვანილ იქნას სხვა პოზიციაზე მასთან გასაუბრების შედეგად. ის ვინც მიიჩნევს, რომ მისი მოლოდინი არ ემთხვევა სამუშაოს ამკარად შეაფერხებს საქმიანობის წარმატებულობას.

67.9% თვლის, რომ კარგად არის მომზადებული იმ სამუშაოსთვის, რომელსაც ახორციელებს

14.3%- ძალიან კარგად არის მომზადებული

3.6% -არ არის მომზადებული

10.7%-მეტ-ნაკლებად არის მომზადებული

3.6% უარს ამბობს პასუხის გაცემაზე

მეტ-ნაკლებად მომზადებული თანამშრომლები სასურველია პროფესიული გადამზადების კურსებით გადაემზადონ

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტების შესახებ

გამოკითხულთა 100% იცნობს სასწავლო დაწესებულების წესდებას.

გამოკითხულთა 96.4% იცნობს სამუშაო პოზიციის თანამდებობრივ ინსტრუქციას,

3.6% -უარს ამბობს პასუხის გაცემაზე

თანამდებობრივ ინსტრუქციას უნდა იცნობდეს ყველა.

100% იცნობს შრომითი ხელშეკრულების/კონტრაქტის პირობებს

92.9% იცნობს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმებს

7.1% არ იცნობს

კარგი მაჩვენებელია, იმდენად რამდენადაც პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევა არ ეხება ადინისტრაციის ყველა თანამშრომელს. გამოკითხვისას გამოკითხულთა უმეტესი ნაწილი გულწრფელია და მისასაღმებელია

96.4% იცნობს საგანმანათლებლო დაწესებულებაში დადგენილ უსაფრთხოების წესებს,

3.6% არ იცნობს, ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მისიასა და ყველა უნდა იცნობდეს, შედეგი კი თანამშრომლეთა მხრიდან უყურადღებობის მაჩვენებელია, თორემ უსაფრთხოების სქემებიც კი გაკრულია სართულებზე და საერთოდ არ ვიცნობ არ უნდა იყოს მითითებული სტრატეგიული გეგმების შესახებ

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მისიასა და სტრატეგიული გეგმების შესახებ

96.4% იცნობს სასწავლებლის მისიას

3.6%-ნაწილობრივ

მისიას იცნობს საკმაოდ დიდი ნაწილი, არ არის არავინ ვინც მას არ იცნობს

მისიასთან დაკავშირებით ფიქსირდება შემდეგი მოსაზრებები:

სტრატეგიული მისია რეალისტურია;

გაცხადებულია უნივერსიტეტის როლი ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე;

მისია გაზიარებულია უნივერსიტეტის საზოგადოების მიერ;

მისია განსაზღვრავს ზუსტად მის როლს ქვეყნის უკეთესი მომავლის შენებაში;

მისია სრულად განსაზღვრავს უნივერსიტეტის როლს და ადგილს საგანმანათლებლო სივრცეში;

მისიაში ჩანს სამი პუნქტი: რა(რას ვახორციელებთ)? როგორ? (რა რესურსებით) ვისთვის? (სამიზნე ჯგუფი). მასში გათვალისწინებულია რეგიონის განვითარების გეგმა, რეგიონის მოთხოვნები და არსებული ადამიანური რესურსები;

უნივერსიტეტის მისია კარგად და გასაგებად არის ფორმულირებული და განსაზღვრავს უნივერსიტეტის როლს და ადგილს განათლების სივრცესა და საზოგადოებაში;

უსდ-ის მისია განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლესი განათლების სივრცესა და საზოგადოებაში. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრატეგიული განვითარების მიმართულებები შეესაბამება დაწესებულების მისიას, ეფუძნება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიზნებს და ასახავს მათი მიღწევის საშუალებებს; ნათლად და კონკრეტულადაა ჩამოყალიბებული, არის თანამედროვე გამოწვევების შესაბამისი;

უნივერსიტეტის მისიაა რეგიონის ინტერესებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით მოამზადოს ქართული და მსოფლიო კულტურის ღირებულებების მქონე კონკურენტურობიანი, მაღალკვალიფიციური კადრები. მისია ფორმულირებულია ნათლად, .გაზიარებულია უნივერსიტეტის პერსონალისა და სტუდენტების მიერ.

სასწავლო უნივერსიტეტის მისია სრულ თანხვედრაშია სტრატეგიასთან, რეალურია და განხორციელებადი;

მისია მიღწევადია. ვთვლი, რომ მისია განათლების სივრცეში პასუხობს თანამედროვეობისა და მომავლის ყველა აქტუალურ მოთხოვნას, ეროვნული და საერთაშორისო მასშტაბით. მისიაში მითითებული მოსაზრებები შეესაბამება რეალობას; მიმაჩნია, რომ მისია განათლების სივრცეში პასუხობს თანამედროვეობისა და მომავლის ყველა აქტუალურ მოთხოვნას, ეროვნული და საერთაშორისო მასშტაბით.

სასწავლებლის მისია არის რეალური და განხორციელებადი და განსაზღვრავს სასწავლო უნივერსიტეტის როლს და ადგილს რეგიონში.

სასწავლო უნივერსიტეტის მისია აშკარად გაზიარებულია, აშკარაა რომ თანამშრომლები იყვნენ ჩართული მისიის შემუშავებაში

96.3% თვლის, რომ სასწავლებლის მისია განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს განათლების სივრცესა და საზოგადოებაში როგორც ეროვნულ ისე საერთაშორისო დონეზე

3.7% ამბობს, რომ არა

მისია აშკარად განსაზღვრავს თავის როლსა და ადგილს ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე. ის ვინც ამბობს რომ არა, როგორც ჩანს ვერ ჩაწვდა კითხვის არსს.

ფიქსირდება შემდეგი მოსაზრებები:

მისიაში გაცხადებულია თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციის, შიდა და საგარეო შრომის ბაზარზე უმაღლესი და პროფესიული განათლების მქონე, კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური კადრის მომზადება/გადამზადება/მოზიდვა;

უკვე დამტკიცებული აქვს თავისი საქმიანობით

განსაზღვრავს როლს მაგრამ სასურველია სამომავლოდ უფრო გამლიერდეს, განსაკუთრებით საერთაშორისო დონეზე.

რა თქმა უნდა სასწავლებლის მისია განსაზღვრავს უნივერსიტეტის როლსა და ადგილს განათლების სივრცეში, საზოგადოებაში

მისიაში ნათლად არის ჩამოყალიბებული სასწავლებლის ადგილი და როლი როგორც რეგიონში, ასევე საერთაშორისო დონეზე. ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, სასწავლებელი ორიენტირებულია ევროპულ სტანდარტებზე, მუდმივად არის ჩართული საერთაშორისო პროექტებში და იგი სწრაფადმზარდი და განვითარებადია.

მისია ითვალისწინებს განათლების სისტემაში მიმდინარე პროცესებს, გათვალისწინებულია ბაზრის მოთხოვნები, როგორც რეგიონულ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე.

დამტკიცებული აქვს თავისი საქმიანობით

უსდ-ის მისია ითვალისწინებს საქართველოსა და ევროპის უმაღლესი განათლების ძირითად მიზნებს, განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში, ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე.

ნამდვილად განსაზღვრავს და უნდა პასუხობდეს კიდევაც თანამედროვე განათლებისა და საზოგადოების მოთხოვნებს

უნივერსიტეტის მისიაა გახდეს განათლების სფეროში რეგიონული ცენტრი, სადაც დასაქმებული ადამიანები შეძლებენ საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალიზაციას, უნივერსიტეტის პრიორიტეტია აკადემიური სწავლება გაუთანაბროს ევროპულ სტანდარტებს.

უნივერსიტეტის ხედვაა სიცოცხლის მანძილზე სწავლების ხელშეწყობა და ინტერნაციონალიზაცია, რაც მიიღწევა გაცხადებული მისიით.

უნივერსიტეტის მისიაა გახდეს განათლების სფეროში რეგიონური ცენტრი, აკადემიური სწავლება გაუთანაბროს ევროპულ სტანდარტებს

სასწავლო უნივერსიტეტის მისია ასახავს მის ფუნქციას, როლსა და ადგილს საგანმანათლებლო სივრცეში მიმდინარე პროცესებთან მიმართებაში. ნათლად არის გამოხატული და გააზრებული ხედვა და მიზნები. გააზრებულია პასუხისმგებლობა რეგიონისა და ზოგადად საზოგადოების წინაშე. ჩამოყალიბებულია ღირებულებები. მისია გაზიარებულია სასწავლო უნივერსიტეტის პერსონალის მიერ მისიაში გაცხადებულია უნივერსიტეტის როლი რეგიონის განვითარებაში, ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობით უნივერსიტეტის ხედვაა უნივერსიტეტის სრული ადაპტაცია საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში.

უნივერსიტეტის მისია პასუხობს, როგორც ეროვნულ ასევე საერთაშორისო სტანდარტებს. უწყვეტი განათლების მიღების შესაძლებლობა, თანამედროვეობის ყველა მოთხოვნის გათვალისწინებით, პასუხობს განათლების სივრცეში საზოგადოების საჭიროებებს

პასუხობს რეგიონის მოთხოვნებს

უწყვეტი განათლების მიღების შესაძლებლობა, თანამედროვეობის ყველა მოთხოვნის გათვალისწინებით, პასუხობს განათლების სივრცეში საზოგადოების საჭიროებებს

მისია განსაზღვრავს უნივერსიტეტის როლსა და ადგილს განათლების სივრცესა და საზოგადოებაში როგორც ეროვნულ ისე საერთაშორისო დონეზე

სასწავლო უნივერსიტეტის მისია სრულადაა გააზრებული ადმინისტრაციის თანამშრომლების მიერ

89.3% ამბობს, რომ მონაწილეობდა სასწავლებლის განვითარების 7 წლიანი სტრატეგიული გეგმის შედგენაში,
7.1% ნაწილობრივ,

3.6% -არა.

სასურველია დაკონკრეტდეს ეს 3,6% რომელი ნაწილია ადმინისტრაციის: დამხმარე, დროებით ხელშეკრულებით აყვანილი

100% იცნობს სასწავლებლის განვითარების სამწლიან სამოქმედო გეგმას

ფიქსირდება შემდეგი მოსაზრებები:

სამოქმედო გეგმაში ასახულია მიზნის მისაღწევი ამოცანები და აქტივობები. თითოეული აქტივობისთვის მოცემულია ინდიკატორი, რომლითაც დგინდება ამოცანის შესრულების ხარისხი. ასევე სამოქმედო გეგმაში მოცემულია აქტივობების შესრულებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურები და განმახორციელებლები, ამოცანები და აქტივობები გაწერილია დროში.

რელევანტურია დროსა და სივრცეში

გეგმა არის რეალური

ვიცნობ სამწლიან სამოქმედო გეგმას და ვღებულობ მონაწილეობას გეგმის განხორციელებაში

ვმონაწილეობდი შედგენასა და განხილვაში

ამ გეგმაში ჩემი სამსახურობრივი პოზიციიდან გამომდინარე მქონდა ჩემი წინადადებები, რომელიც აისახა მასში.

სამოქმედო გეგმა სწორად არის ჩამოყალიბებული, აქტივობები გაწერილია იმ სუსტი და ძლიერი მხარეების გათვალისწინებით, რაც უნივერსიტეტს ამ ეტაპზე გააჩნია.

სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმები მოიცავს უსდ-ს ფუნქციონირებისთვის აუცილებელ ყველა ასპექტს, მათ შორის, ინსტიტუციურ განვითარებას, ხარისხის უზრუნველყოფას, საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვასა და განხორციელებას, სტუდენტთა კონტინენტის დაგეგმვას, კვლევებს/სახელოვნებო-შემოქმედებით საქმიანობას, ადამიანურ და მატერიალურ რესურსებს, სტუდენტურ სერვისებს, ინფრასტრუქტურასა და სხვა; სამოქმედო გეგმაში ნათლად არის ჩამოყალიბებული განსახორციელებელი აქტივობები, განსაზღვრულია განხორციელების ვადები, შესრულების კრიტერიუმები და მის შესასრულებლად საჭირო რესურსები (მატერიალური, ფინანსური და ადამიანური).

ძალიან ნათლადაა ჩამოყალიბებული და ლოგიკურადაა დასაბუთებული

სამწლიანი სამოქმედო გეგმა შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მისიასა და ხედვასთან. სამოქმედო გეგმაში მოცემული აქტივობები გაზომვადი და მიღწევადია, თითოეული აქტივობისთვის განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირი და შემსრულებლები

სამწლიანი სამოქმედო გეგმა პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს

სასწავლებლის სამწლიანი სამოქმედო გეგმა არის 7 წლიანი სტრატეგიული გეგმის ნაწილი, რომელშიც ზუსტად არის განსაზღვრული საანგარიშო პერიოდით გათვალისწინებული პრიორიტეტები. ამოცანები, მათი შესრულების მეთოდოლოგია და აქტივობები

უნივერსიტეტის სამწლიანი სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს დასახული სტრატეგიული მიზნების მიღწევას. თითოეული ამოცანისთვის გათვალისწინებული აქტივობები შესრულებადია მითითებულ დროსა და განსაზღვრული ბიუჯეტის ფარგლებში.

ვფიქრობ სრულიად მოიცავს უნივერსიტეტის განვითარებისათვის საჭირო ყველა ასპექტს

სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობები შეესაბამება აღნიშნულ ვადებს.

სამწლიანი სამოქმედო გეგმა მყარ საფუძველს უყრის განვითარების 7 წლიან სამოქმედო გეგმას

გეგმაში აქტივობები სწორად არის განაწილებული და განხორციელებადია

სამწლიანი სამოქმედო გეგმა წარმოადგენს, განვითარების 7 წლიან სამოქმედო გეგმის განხორციელების ძირითად საფუძველს.

7 წლიანი სამოქმედო გეგმა სრულადაა გაზიარებული ადმინისტრაციის მიერ

85.7% მონაწილეობდა სასწავლებლის განვითარების სამწლიანი სამოქმედო გეგმის შედგენაში

10.7%-ნაწილობრივ

3.6%-არა

კიდევ ერთხელ გაირკვეს ეს ერთი და იგივე 3,6%

96.2% ამბობს, რომ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასა და ხელშეწყობის მიზნებთან

3.8%-უარს ამბობს პასუხის გაცემაზე.

სასწავლო უნივერსიტეტის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასა და ხელშეწყობის მიზნებთან

მოსაზრება დასაბუთებულია შემდეგნაირად:

უნივერსიტეტის ხელმძღვანელი ცხოვრების მანძილზე სწავლის პრინციპზე დაფუძნებული განათლების სრული ხელმისაწვდომობა და საგანმანათლებლო პროგრამების ინტერნაციონალიზაცია. უნივერსიტეტის მისია, სტრატეგიული გეგმა და სამოქმედო გეგმა სწორედ ამ პრინციპების განხორციელებას ითვალისწინებს.

ემთხვევა ხარისხის ციკლის მიხედვით გაუმჯობესება განვითარების წარმატებულ საქმიანობებს

აუცილებლად უნდა იყოს თანხვედრაში

სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები მისიასა და ხედვაში გაცხადებულ მიზნებთან სრულ შესაბამისობაშია.

მიმაჩნია რომ სამოქმედო გეგმები და სტრატეგიული გეგმა შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასა და ხედვასთან

ემთხვევა ხარისხის მიხედვით გაუმჯობესება განვითარების წარმატებულ საქმიანობებს

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრატეგიული განვითარების მიმართულებები შეესაბამება დაწესებულების მისიას, ეფუძნება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიზნებს და ასახავს მათი მიღწევის საშუალებებს.

სრულიად შეესაბამება დაწესებულების მისიას და ხედვას, არის ძალიან რეალური

სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასა და ხედვაში გაცხადებულ მიზნებთან

უნივერსიტეტის ხედვაა უწყვეტი განათლება და ინტერნაციონალიზაცია, სამოქმედო გეგმაში ასახული აქტივობები სწორედ იქეთკენაა მიმართული, რომ 2024 წლისთვის მოხდეს საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში უნივერსიტეტის სრული ინტეგრაცია, ასევე განათლების ხელმისაწვდომობა ნებისმიერი მსურველისთვის.

სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები სრულად პასუხობს უნივერსიტეტის მისიას

სასწავლო უნივერსიტეტის სამოქმედო გეგმები არის სტრატეგიული გეგმის ნაწილი, რომელიც შესაბამისობაშია მისიაში გაცხადებულ მიზნებთან

მისიაში და ხედვაში გაცხადებულია საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება პროფესიულ და აკადემიურ დონეზე, ასევე გაცხადებულია უწყვეტი განათლება ნებისმიერი მსურველისთვის, რასაც ითვალისწინებს სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმაში მოცემული მიზნები, ამოცანები და აქტივობები.

ჩემი აზრით სტრატეგიული გეგმა და მისია ერთმანეთს ხურავს. მისიაში გაცხადებული მიზნები თანხვედრაშია სამოქმედო გეგმასთან.

შესაბამისობაშია, რადგან ამის გარეშე წარმოდგენელია რომელიმე მათგანის (სტრატეგიულის ან სამოქმედო გეგმის) რეალობაში განხორციელება

რა თქმა უნდა, შესაბამისობაშია. წინააღმდეგ შემთხვევაში წარმოდგენელია სტრატეგიულის ან სამოქმედო გეგმის განხორციელება.

სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმები პასუხობს მისიასა და ხედვაში გაცხადებულ მიზნებს, სამოქმედო გეგმაში მოცემული აქტივობები რელევანტური და გაზომვადია.

ადმინისტრაცია სრულადაა გარკვეული კითხვის არსში, იცნობს სტრატეგიასა და მისიას და მათ შესაბამისობას

96.3% მონაწილეობდა სასწავლებლის სამწლიანი სამოქმედო გეგმაში გაწერილ აქტივობებში
3.7%-უარს ამბობს პასუხის გაცემაზე
მაჩვენებელი კარგია

აქტივობებს შორის სახელდება შემდეგი:

მეთოდოლოგიებისა და კითხვარების შემუშავებაში, გამოკითხვებში. აკადემიური და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებასა და შემუშავებაში, სამუშაოების ანგარიშების შეფასებაში, მართვის ორგანოების გაფართოებულ სხდომებში მონაწილეობა, კმაყოფილების კვლევაში, სამეცნიერო საქმიანობაში, სასწავლო უნივერსიტეტის პოპულარიზაციაზე მიმართული PR-კამპანიებისა და სარეკლამო აქციების ჩატარებაში და ა.შ

ავტომატურად მონაწილეობს ყველა თანამშრომელი

უნივერსიტეტში განხორციელებული სხვადასხვა შემეცნებით-საგანმანათლებლო ღონისძიებები მონაწილეობა მივიღე იმ აქტივობებში, რომელიც უშუალოდ ეხება ჩემს განყოფილებას.

უსდ-ს წვლილი შეაქვს საზოგადოების განვითარებასა და ცოდნის გაზიარებაში, რისთვისაც გეგმავს და ახორციელებს სხვადასხვა აქტივობებს, როგორებიცაა: სოციალური, კულტურული, ეკონომიკური, გარემოსდაცვითი და სხვა პროგრამები და ღონისძიებები, უსდ-ის აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის მონაწილეობა საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი თემების განხილვაში, საექსპერტო და საკონსულტაციო მომსახურების გაწევა, კვლევების ჩატარება სხვადასხვა ინსტიტუციისთვის და მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის ხელშემწყობი ღონისძიებები.

პროგრამების შედგენა, შეფასება, ინტერაციონალიზაციის ხელშეწყობის აქტივობები

სტუდენტური აქტივობები

უნივერსიტეტის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხილვაში, წლიური ანგარიშის მომზადებასა და განხილვაში, პროგრამების დაგეგმვა, შემუშავება, განხორციელებასა და შეფასებაში.

სტუდენტური აქტივობა

ვარ სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით შექმნილი ავტორიზაციის 7 სტანდარტით გათვალისწინებული მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით შექმნილი სპეციალური სამუშაო ჯგუფის წევრი. აღნიშნული ბრძანების საფუძველზე სრულად ვარ/ ვიყავი ჩართული სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავებაში. მონაწილეობა მივიღე პერსონალის სტანდარტით გათვალისწინებულ აქტივობებში, სტუდენტებისა და მათი მხარდაჭერის ღონისძიებებისა და სხვა აქტივობებში

უნივერსიტეტის სამწლიანი სამოქმედო გეგმაში გაწერილი აქტივობების ფინანსურ დაგეგმარებაში, მის განხორციელებასა და კონტროლში.

ვასრულებ თანამდებობასთან დაკავშირებულ აქტივობებს

სტუდენტებისთვის შეთავაზებული სერვისები კომფორტული და ხელმისაწვდომი იყოს.

უნივერსიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო პოლიტიკისა და საბიუჯეტო პროცესის მართვის სრულყოფა; უნივერსიტეტში ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დანერგვა; უნივერსიტეტში ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის შეფასება

ჩემს საქმიანობასთან დაკავშირებულ აქტივობებში

უნივერსიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო პოლიტიკისა და საბიუჯეტო პროცესის მართვის სრულყოფა; უნივერსიტეტში ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დანერგვა; უნივერსიტეტში ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის შეფასება.
აქტიურად ვარ ჩართული პროგრამების მოდიფიცირების საკითხში, გამოკითხვების განხორციელებაში.

სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციული პერსონალი სწორად და ეფექტურად იყო ჩართული სტრატეგიული და სამოქმედო გემის შემუშავებაში. ყველას თავისი სამსახურის შესაბამისად აქვს შეტანილი წვლილი შემუშავებაში და აქვს გააზრებული მისი განხორციელებაც

96.3% იცნობს სამოქმედო გემის შესრულების წლიურ ანგარიშს,
3.7%-არა

მაჩვენებელი კარგია და ხაზს უსვამს სამოქმედო გემის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირების როლსა და ინტერესს საქმომედო გემის შესრულების სისრულეზე მისი შემდგომი დახვეწისა და გაუმჯობესების მიზნით

სამოქმედო გემის შესრულების წლიურ ანგარიშს გაეცნენ შემდეგი გზით:

რექტორის პრეზენტაციით, ასევე განთავსებულია ვებ-გვერდზე.

წერილობით და მოსმენაზეც

გავეცანი წერილობითი ფორმით და ვესწრებოდი მის განხილვას

ზეპირი და წერილობითი ფორმით

ვესწრებოდი ანგარიშის განხილვას

რექტორის ანგარიში/სხვადასხვა სამსახურებისა და სტრუქტურული ერთეულების ანგარიშების საფუძველზე

ადმინისტრაციის გაფართოებული სხდომა

რექტორის მიერ გაკეთებული მოხსენებით, ასევე უნივერსიტეტის ვებ-გვერდიდან

ვებგვერდზე

რექტორის პრეზენტაციით, ასევე წლიური ანგარიში განთავსებულია ვებ გვერდზე.

ელექტრონული ფორმით.

ვიცნობ ჩემი საქმიანობის ფარგლებში

საკმაოდ კარგადაა გაზიარებული ანგარიში თანამშრომლებს შორის და კარგი საინფორმაციო პროპაგანდაა, ასევე შესრულებული სამუშაოს პასუხისმგებელი პირების მხრიდან იგრძნობა ადმინისტრაციისადმი პატივისცემა

96.3% ამბობს, რომ სრულად შესრულდა ყველა ის აქტივობა, რომელიც სამოქმედო გეგმაში იყო დაანონსებული სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშის მიხედვით.

3.7% უარს ამბობს პასუხის გაცემაზე

სამოქმედო გეგმა და მისით გათვალისწინებული საქმიანობები გამჭვირვალეა და კარგად არის გაზიარებული დაინტერესებულ მხარეებს შორის

ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შექმნის/დაგეგმვის შესახებ

88.9% იცნობს სასწავლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შერჩევის წესებსა და პროცედურებს.

11.1%-იცნობს ნაწილობრივ

ლოგიკური შედეგია, თუმცა საურველია ადმინისტრაცია სრულად იყოს გათვითცნობიერებული საგანმანათლებლო აკადემიურ საქმიანობაშიც

96.3% ამბობს, რომ საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დაგეგმვა მოხდა ფინანსურ ანალიზზე დაყრდნობით,

3.7% არ იცის, რადგან თანამდებობრივად არ არის მის კომპეტენციაში

ლოგიკური და სწორი პასუხია, ადასტურებს ადმინისტრაციის ჩართულობას საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების დაგეგმვაში, ასევე სასწავლო უნივერსიტეტის მიერ დაგეგმილი ნებისმიერი საქმიანობის დაინტერესებული მხარეებისთვის გაზიარების დონეს, ხარისხს

92.6% ამბობს, რომ განსახორციელებელი პროგრამის/ების არჩევამდე მოხდა ბაზრის საჭიროებების კვლევა (ან ზოგადად რაიმე სხვა კვლევა)

3.7% ამბობს, რომ ნაწილობრივ

3.7% არ იცის, რადგან თანამდებობრივად არ არის მის კომპეტენციაში

აღნიშნული კიდეც ერთხელ ადასტურებს სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სრულ ჩართულობას როგორც ადმინისტრაციულ ისე აკადემიურ საქმიანობაშიც, ასევე პრაქტიკული კვლევების განხორციელებაში

პასუხები კითხვაზე თუ რომელი კვლევა ჩატარებულა პასუხები შემდეგია:

უნივერსიტეტი პერიოდულად ახორციელებს შრომის ბაზრის კვლევას, კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე იწყება მუშაობა ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება-დანერგვაზე.

კარიერის მართვის განყოფილების მიერ შრომის ბაზრის კვლევა

კარიერის სამსახურის ანგარიშები ადასტურებდა

სათანადო სამსახურის წარმომადგენლები ატარებენ კვლევას საჭიროებიდან გამომდინარე

უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული კვლევა

ბაზრის კვლევით დადგინდა მოთხოვნადი აკადემიური და პროფესიული პროგრამები

მოთხოვნადობა და დასაქმების მაჩვენებელი

გამოკითხვები

კარიერის სამსახურის ანგარიშები ადასტურებდა

ჩატარდა გამოკითხვები

შრომის ბაზრის ტენდენციები, გამოკითხვები

დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა კმაყოფილების კვლევები

გამოკითხვის სახით

კარიერის განვითარების ცენტრის მიერ განხორციელებული კვლევა

ჩატარდა შრომის ბაზრის კვლევა, რითაც დადგინდა მოთხოვნადი პროფესიები. ასევე

ჩატარდა კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევა.

გათვალისწინებული იყო ადგილობრივი ბაზრის ყველა მოთხოვნა

ადგილობრივი ბაზრის კვლევა.

..ადმინისტრაცია კარგად იცნობს სხვადასხვა სტრუქტურული. ერთეულის საქმიანობას

81.5% ამბობს, რომ სამსახურეობრივი საქმიანობის უკეთ წარმართვის მიზნით საჭიროებს დამატებით ტრენინგს/ კონსულტირებას

18.5% ამბობს, რომ არა

აუცილებელია სასწავლო უნივერსიტეტმა ყურადღება მიაქციოს აღნიშნულს მაჩვენებელს,

სასურველია ადმინისტრაციასთან საუბარი რა ტიპის გადამზადებას ითხოვენ ისინი და რა

იყო აქამდე შემაფერხებელი, როდესაც სასწავლო უნივერსიტეტში არა ერთი გადამზადების

კურსი ხორციელდებოდა

ქვემოთ მოცემულია ის კონკრეტული საკითხები, რომელზე ტრენინგ/კონსულტირებას საჭიროებენ ადმინისტრაციის თანამშრომლები(მათი აზრით)

სამეცნიერო ელექტრონული ბაზების გამოყენება, სასწავლო უნივერსიტეტი ამ მხრივ ელოდება საერთაშორისო პროექტის დაფინანსებას, რომელიც მოაწესრიგებს აღნიშნულ ხარვეზს

ელექტრონული დოკუმენტბრუნვა; თითქმის მოგვარებულია

სახელმწიფო ხაზინასთან მუშაობის თავისებურებები, სახელმწიფო შესყიდვები;

სამინისტროსგან გარკვეული სიახლეების გადაზუსტება;

ჩემი კომპეტენციის ასამაღლებლად, საჭიროებებიდან გამომდინარე მჭირდება ტრენინგები მუდმივად;

უმადლეს საგანმანათლებლო სივრცეში მიმდინარე რეფორმებთან დაკავშირებით, კერძოდ აკრედიტაციის სტანდარტებთან დაკავშირებით; ეს სიახლეა და მხოლოდ ახლა დაიწყო განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ახალ სტანდარტებზე მუშაობა

სიახლეები სამსახურობრივ საქმიანობასთან დაკავშირებით აუცილებელია;

ადამიანური რესურსების პოლიტიკასა და რესურსების მართვის გარშემო;

საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზების გამოყენებასთან დაკავშირებით ვსაჭიროებ დამატებით ტრენინგს;

ვებ გვერდის ადმინისტრირებასთან დაკავშირებით;

პროფესიულ საკითხთან დაკავშირებით;

შეფასების სისტემა, ასოცირებული კვალიფიკაციის შესახებ;

ადმინისტრაციული საკითხები;

ელექტრონული დოკუმენტბრუნვის ტრენინგები;

საარქივო საქმის ორგანიზებასთან დაკავშირებით;

საგანმანათლებლო სივრცეში მიმდინარე აქტიურ პროცესებთან დაკავშირებით ტრენინგები;

ყოველთვის მიზანშეწონილია ნებისმიერ აქტუალურ საკითხზე;

ტრენინგი-ელექტრონული დოკუმენტბრუნვის წარმოებაზე;

პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული თანამედროვე მიდგომების გაცნობა;

დამატებითი ტრენინგები და კონსულტაციები მუდამ საჭიროა;

სასურველია აღნიშნულის გარშემო დაკვირვება თუ მიუმართავს რომელიმე თანამშრომელს ადმინისტრაციის რომელიმე ტრენინგის შესახებ რომელზეც მას სურდა დასწრება.

ადმინისტრაციის მხრიდან არ ვარგა მსგავსი მიმართვების უყურადღებოდ დატოვება.

ხოლო თუ თანამშრომლებს სჭირდებათ საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება სსასურველია ხარისხის უზრუნველყოფის სასამხურმა იზრუნოს აღნიშნულზე

მისასალმებელია მსგავსი ინტერესი ადმინისტრაციის მხრიდან, რაც ხაზს უსვამს პირადი განვითარების დიდ ინტერესს მათი მხრიდან და ასევე იმას რომ ისინი იმედს ამყარებენ რომ

სასწავლო უნივერსიტეტი შეძლებს მრავალმხრივი ტრენინგ კურსებით მათ უზრუნველყოფას

44.4% ამბობს, რომ სასწავლებელი კარგად არის მომზადებული იმ საგანმანათლებლო პროგრამებისათვის რომლებსაც ახორციელებს

37%-ძალიან კარგად არის მომზადებული

18.5% -სრულიად მოუმზადებელია

საინტერესოა იმ ნაწილის აზრი რომელიც უთითებს რომ სრულიად მოუმზადებელია. რითია მათი მხრიდან გამოწვეული მსგავსი ნიჰილიზმი?

100% იცნობს საქართველოს განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმებს

კითხვაზე „რა გამოწვევების წინაშე დგას ამჟამად საქართველოს განათლების სისტემა“, პასუხი არის შემდეგი:

მთავარი გამოწვევაა უწყვეტი განათლების ხელმისაწვდომობა ნებისმიერი მსურველისთვის და ინტერნაციონალიზაცია.

ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების რეფორმის სრულყოფა, პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, ტექნოლოგიური განვითარება

გამოწვევები ბევრია, მაგრამ მხოლოდ ძლიერ სახელმწიფოს შეუძლია ღირსეულად უპასუხოს ამ გამოწვევებს

დიდი გამოწვევების წინაშე ვართ

განათლების სისტემის გაუმჯობესება

უწყვეტი და ხელმისაწვდომი განათლების უზრუნველყოფა

ინტერნაციონალიზაცია, უწყვეტი განათლება

საქართველოს განათლების სისტემის მთავარი გამოწვევაა ნებისმიერი მსურველისთვის განათლების ხელმისაწვდომობა და ინტერნაციონალიზაცია

გადამზადების სერვისების ხარისხი, განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობა, განათლების კავშირი შრომის ბაზართან, შემოქმედებითი და სამეწარმეო უნარ-ჩვევების განვითარება, მეცნიერებისა და კვლევების ხელშეწყობა; განათლების უწყვეტობის უზრუნველყოფა; განათლების ხარისხის გაუმჯობესება

განათლების სრული ხელმისაწვდომობა ნებისმიერი მსურველისთვის. მიმდინარეობს განათლების სისტემაში არსებული ჩიხების აღმოფხვრა. ამჟამად ხორციელდება საპილოტე პროგრამები, რომლებიც ითვალისწინებს სასკოლო მოდულების ინტეგრირებას პროფესიულ განათლებაში.

ჩემი აზრით განათლების სისტემა დიდი გამოწვევების წინაშე დგას. მიუხედავად წარმატებული რეფორმებისა აუცილებელია შემდგომი ნაბიჯების გადადგმა.

განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმები ბოლომდე მისაყვანია

მისასალმებელია რომ ადმინისტრაცია კარგად იცნობს განათლების სივრცეში მიმდინარე პროცესებს, ზუსტად აქვს გააზრებული მისი დადებითი და ნაკლოვანი მხარეები და ზუსტად ხედავს განვითარების აუცილებლობას კონკრეტულ საკითხებშიც კი

92.6% სმენია ასოცირებული კვალიფიკაციის შესახებ

7.4%-არ სმენია

აკადემიურ საგანმანათლებლო პროგრამაში ასოცირებული კვალიფიკაციის ინტეგრირებას ისურვებდნენ შემდეგი მიმართულებებით:

ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამაზე, ასევე აგრარული და ჯანდაცვის მიმართულებით.

ბულალტრული აღრიცხვა, აგრარული მიმართულება - ბიზნესი, ტურიზმი

აგრომიმართულება

კარგი იქნება ბულალტრის კვალიფიკაციის ბიზნესის ადმინისტრირების კვალიფიკაციასთან ინტეგრირება

აგრარული მიმართულება

ბულალტერია, ფარმაცია

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში "ბულალტრის" პროგრამის, ან ტურიზმის მიმართულებით რომელიმე პროგრამის

კარგი იქნება თუ ბულალტრის პროგრამა ჩაშენდება ბიზნესის ადმინისტრირებაში ბანკის ოპერატორის სპეციალობაზე მიღებული კრედიტები აღიარებულ იქნეს ბიზნესის პროგრამაზე

საუცხოო მაჩვენებელია თუ რამდენად აქვს გააზრებული ადმინისტრაციას სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საქმიანობა ქვეყნის ჰანათლების პოლიტიკის პარალელურად

ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური/სასწავლო რესურსის შესახებ

96.2%-თვის ხელმისაწვდომია სასწავლო რესურსები სახელმძღვანელოები, ინტერნეტ-რესურსები

3.8%-თვის ნაწილობრივ არის ხელმისაწვდომი

ფიქსირდება შემდეგი მოსაზრებები:

სასწავლო რესურსების დაკმაყოფილება ხდება მოთხოვნის საფუძველზე.

სახელმძღვანელოები არის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, ინტერნეტ-რესურსები უწყვეტად არის ხელმისაწვდომი.

რამდენიმე წიგნის რაოდენობაა შესავსები

100% ამბობს, რომ სასწავლო ტექნიკური აღჭურვილობა/სასწავლო მასალები ყველა პროგრამისათვის საკმარისია.

100% ამბობს, რომ სრულად უზრუნველყოფილია სასწავლო უნივერსიტეტი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურით

100% ამბობს, რომ სრულად უზრუნველყოფილია სასწავლო უნივერსიტეტი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურით. აღსანიშნავია, რომ სასწავლო პროცესის უკეთ წარსამართად, კიდევ მიმდინარეობს სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება.

სასწავლო უნივერსიტეტის მატერიალურ ტექნიკური ბაზა სრულად უზრუნველყოფის სასწავლო უნივერსიტეტის ეფექტურ აკადემიურ და ადმინისტრაციულ საქმიანობას

68% თვლის, რომ სასწავლებლის უკეთ ფუნქციონირებისათვის არის დამატებითი საჭიროება მატერიალურ-ტექნიკურ ბაზასთან დაკავშირებით

20% ამბობს, რომ არ არის დამატებითი საჭიროება

8%- ნაწილობრივ არის საჭიროება

4%-უარს ამბობს პასუხის გაცემაზე

ფიქსირდება მოსაზრებები:

საჭიროებს ლიფტს

მატერიალური რესურსი აბსოლუტურად საკმარისია სასწავლო უნივერსიტეტის ფუნქციონირებისათვის

აღნიშნულის აუცილებლობა განათლების ხელმისაწვდომობის მიზნით ყველაზე საჭიროა

სამუშაო პროცესის ორგანიზება

96.1% ამბობს, რომ სწორად არის გადანაწილებული სამუშაო როლები და პასუხისმგებლობები დაწესებულების თანამშრომლებს შორის

3.8%-უარს ამბობს პასუხზე

კვდევ ერთხელ ხაზს უსვას ადმინისტრაციის თანამშრომლებს შორის კოორდინირებულ საქმიანობას

დაფიქსირებულია პოზიცია:

გათვალისწინებულია ყველა პოზიციაზე მყოფის სამუშაო გამოცდილება და ინტერესები, მისწრაფებები და პიროვნული შესაძლებლობები.

96.2% ამბობს, რომ ასრულებს ყველა იმ ფუნქცია-მოვალეობას, რაც პოზიციის შესაბამის თანამდებობრივ ინსტრუქციაშია გაწერილი

3.8% ამბობს, რომ ისეთი სამუშაოს შესრულებაც უწევს რაც მის პოზიციას საერთოდ არ ეხება.

ძალიან საინტერესო მაჩვენებელია, რაც გულისხმობს რომ ადმინისტრაციის ეფექტური ფუნქციონირების საქმეში ყველა ერთადაა ჩართული

84.6% მონაწილეობს თანამშრომელთა მუშაობის ეფექტიანობის გაზრდისათვის ორგანიზებულ სხვადასხვა ტრენინგებში

11.5% არ მონაწილეობს

3.8% უარს ამბობს პასუხის გაცემაზე

ტრენინგ კურსებისა და ადმინისტრაციული პერსონალის გადამზადების საკითხი უკვე მითითებულია და არის შემიშვნა რომ ყურადღება მიექცეს თანამშრომელთა იმ ნაწილს რომელიც ითხოვს პირად საქმიანობაში გადამზადების კურსებს

დაფიქსირებულია შემდეგი მოსაზრებები:

სტუდენტების სწავლის შედეგების შეფასების ინტრუმენტების შესახებ, შიდა და გარე მხარდაჭერის ჯგუფის ტრენინგები

ყველა საერთაშორისო პროექტის ფარგლებში შესასრულებელი ტრენინგის მონაწილე ვიყავი და აამვე დროს ტრენინგიც

სხვადასხვა თემებზე

ვმონაწილეობდი საბიბლიოთეკო ტრენინგში, შიდასაუნივერსიტეტო ტრენინგებში, რომელიც ეძღვნებოდა სტატეგიული გეგმის, მისიის და ა. შ. შემუსავებას.

ვესწრები იმ ტრენინგებს რაც უნივერსიტეტში ხორციელდება პროფესიული განვითარების კუთხით

ბოლო ტრენინგი პროფესიული განვითარების სამსახურის ლექტორ მასწავლებლებთან კონკრეტულად შედეგების იგივე ტესტების როგორც პრაქტიკული ასევე თეორიული ნაწილის შედგენასთან დახვეწის და გაუმჯობესებული ფორმით შემუშავებასთან დაკავშირებით

ტრენინგები შრომითი უსაფრთხოების შესახებ, კატასტროფების მართვა და სხვ

უნივერსიტეტის მართვის ორგანოების მიერ ჩატარებული ტრენინგი

სასწავლო უნივერსიტეტის საკმაოდ მრავალფეროვან ტრენინგ კურსებს სთავაზობს ადმინისტრაციას

48% ამბობს, რომ რექტორს მიმართავს ყველაზე ხშირად რაიმე პრობლემის გადასაჭრელად,

28% ადმინისტრაციის ხელმძღვანელს

20% კოლეგებს ადმინისტრაციაში

4%-ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს

ადმინისტრაციის თანამშრომლებს სასურველია დაკონკრეტდეს რა ტიპის პრობლემებისთვის უწევთ რექტორთან მიმართვა და რა ტიპის პრობლემების დროს მიმართავენ ადმინისტრაციის ხელმძღვანელს.

96.2% ამბობს, რომ არ ჰქონია შემთხვევა როცა არ იცოდა ვისთვის მიემართა რაიმე პრობლემის გადასაჭრელად.

3.8% ამბობს, რომ ჰქონია ასეთი შემთხვევა

ადმინისტრაცია კარგად აცნობიერებს პრობლემის გადაჭრის გზების ძიების საშუალებებს

80.8% უსარგებლია შვებულებით

3.8% არ უსარგებლია

15.4% ამბობს, რომ არ ეკუთვნის შვებულება

შრომითი უფლებები საკმაოდ დაცულია

92% ამბობს, რომ არ თვლის საჭიროდ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსებისთვის ხელახლა გაიწეროს ფუნქცია-მოვალეობები და პასუხისმგებლობები

4% ნაწილობრივ თვლის ამის საჭიროებას

4% ამბობს, რომ თვლის საჭიროდ

სასურველია შეხვედრა იმ 8%-თან რომელიც მიიჩნევს რომ შესაცვლელია ფუნქცია მოვალეობები

სახელდება აქტივობები, რომელსაც ახორციელებს ზსსუ სტუდენტთა დასაქმების ხელშესაწყობად

კარიერის განვითარების ცენტრი ატარებს ტრენინგებს, ურთიერთობა აქვს დამსაქმებლებთან, შექმნილია კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა ბაზები, მონაწილეობას ვიღებთ დასაქმების ფორუმებში.

კარიერული განვითარების ცენტრი შეუქმნა სტუდენტებს

ორიენტირებულია სწორედ სტუდენტთა დასაქმებაზე

ტარდება ტრენინგ კურსები, შეხვედრები დამსაქმებლებთან. იღებენ მონაწილეობას სხვადასხვა ღონისძიებებში და ა.შ.

სხვადასხვა უამრავი აქტივობა

გაფორმებულია მემორანდუმები პარტნიორ ორგანიზაციებთან, დაწესებულებებთან და მიმდინარეობს მჭიდრო თანამშრომლობა.

არსებობს კარიერის კვლევის სამსახური.

კარიერის განვითარების ცენტრის მიერ განხორციელებული აქტივობები

ტარდება ტრენინგები, შეხვედრები ღონისძიებები, სპორტული აქტივობები. საჭირო ორგანიზაციებთან ურთიერთობით

უსდ-ს წვლილი შეაქვს საზოგადოების განვითარებასა და ცოდნის გაზიარებაში, რისთვისაც გეგმავს და ახორციელებს სხვადასხვა აქტივობებს, როგორებიცაა: სოციალური, კულტურული, ეკონომიკური, გარემოსდაცვითი და სხვა პროგრამები და ღონისძიებები, უსდ-ის აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის მონაწილეობა საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი თემების განხილვაში, საექსპერტო და საკონსულტაციო მომსახურების გაწევა, კვლევების ჩატარება სხვადასხვა ინსტიტუციისთვის და მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის ხელშეწყობი ღონისძიებები.

ატარებს ღონისძიებებს, შეხვედრებს

ამისთვის მუშაობს კარიერის ცენტრი, რომელსაც მუდმივი კონტაქტი აქვს როგორც დამსაქმებლებთან, ისე სტუდენტებთან. ასევე დამსაქმებლის მოთხოვნით სტუდენტებს აგზავნის სტაჟირებებზე, სადაც ხშირად ხდება მათი დასაქმება

უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები და ხელშეკრულებები დამსაქმებლებთან.

დასაქმების ფორუმებში მონაწილეობა, მემორანდუმების გაფორმება, დამსაქმებლებთან ურთიერთობები

ტარდება ტრენინგები

ამ მიმართულებით მუშაობს კარიერის განვითარების ცენტრი, კეთდება გამოკითხვები, ბაზრის კვლევა, მყარდება კონტაქტები დამსაქმებლებთან

აფორმებს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმებს, სტუდენტები ესწრებიან დასაქმების ფორუმებს. უნივერსიტეტში არსებული კარიერის განვითარების ცენტრის მიერ შექმნილია კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა ბაზები. ცენტრი მუდმივად თანამშრომლობს რეგიონში არსებულ დამსაქმებელთან.

კარიერის განვითარების ცენტრის მიერ განხორციელებული აქტივობები

უნივერსიტეტი ორიენტირებულია სტუდენტის დასაქმებაზე

ფუნქციონირებს კარიერის განვითარების განყოფილება, რომელიც ზრუნავს სტუდენტთა დასაქმებაზე

ტარდება ტრენინგები და შეხვედრები დამსაქმებლებთან

უნივერსიტეტში არსებობს განყოფილება, რომელიც ზრუნავს სტუდენტთა დასაქმებაზე

გაფორმებულია მემორანდუმები სხვადასხვა დამსაქმებლებთან, პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისას სტუდენტებს აქვთ საშუალება თავიანთი ცოდნით დააინტერესონ დამსაქმებლები რაც ხელს უწყობს მათ კარიერულ ზრდას.

სასწავლო უნივერსიტეტი საკმაოდ აქტიურია დასაქმების ხელშეწყობის მექანიზმების შემუშავებისას და საკმაოდ კარგად იცნობს დამსაქმებლებთან ურთიერთობის პოლიტიკას

სტუდენტთა დასაქმების ხელშეწყობასთან დაკავშირებით ფიქსირდება მოსაზრებები:

ისეთი პროგრამების შემუშავება და განხორციელება რომლებიც მოთხოვნადია შრომის ბაზარზე, დამსაქმებლებთან ურთიერთობების გაღრმავებით. პრაქტიკულ კომპონენტზე დაფუძნებული სწავლებით.

სტუდენტი უნდა იყოს კონკურენტუნარიანი თავისი ცოდნითა და უნარებით, დამსაქმებლებთან კონტაქტი, ინფორმაცია დასაქმების შესაძლო ბაზრის შესახებ, ბიზნეს შეხვედრების მოწყობა, წარმატებულ ბიზნესმენებთან შეხვედრები, საუბრები

დამსაქმებლებს უნდა მივაწოდოთ სწორი ინფორმაცია მათთვის სასურველი მომავალი კადრის შესახებ

მოვიძიოთ პარტნიორები, დამსაქმებლები და ა.შ.

პროფესიონალი კადრების მომზადება და დამსაქმებლებთან აქტიური თანამსრომლობა

მჭიდრო კავშირით შრომის ბაზართან და უნივერსიტეტი დამსაქმებლებისთვის უნდა განიხილებოდეს, როგორც ყველაზე სასურველი პარტნიორი. უნდა მოვამზადოთ/გადავამზადოთ/მოვიზიდოთ თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციის, შიდა და საგარეო შრომის ბაზარზე უმაღლესი და პროფესიული განათლების მქონე, კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური კადრები.

უნივერსიტეტის მხრიდან დამსაქმებლებთან მეტი ურთიერთობა გაზრდის სტუდენტთა დასაქმებას

მიიღონ შესაბამისი განათლება.

უსდ უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას და მათი უფლებების დაცვას; სთავაზობს სტუდენტებს შესაბამის სერვისებს, მათ შორის, დასაქმების ხელშეწყობის მექანიზმებს, უზრუნველყოფს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ამ ღონისძიებებში. სტუდენტთა მხარდაჭერი ღონისძიებების გასაუმჯობესებლად უსდ ითვალისწინებს სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებს.

მივაწოდოთ შესაბამისი ინფორმაცია

დამსაქმებლებთან მუდმივი კონტაქტი, დამსაქმებლების ჩართვა სასწავლო კურსების პრაქტიკულ კომპონენტებში და ა. შ.

შემდგომი დასაქმებისთვის უნივერსიტეტის სტუდენტები პრაქტიკას გადიან სხვადასხვა ადგილობრივ კომპანიებთან, პარტნიორ ორგანიზაციებში

კურსდამთავრებულთა ქსელის შექმნა და დამსაქმებლების ინფორმირება

სამუშაო ადგილების მოძიებით, დამსაქმებლებთან ურთიერთობით, მათი ჩართვით პროგრამის შემუშავებასა და სხვა ამ საკითხთან დაკავშირებულ აქტივობებში

დამსაქმებელთა ღია კარის დღეების მოწყობით სტუდენტებისთვის პრაქტიკაზე ორიენტირებული უნარ-ჩვევების გამომუშავებით

დამსაქმებლებთან სისტემატური კონტაქტი

მოვიძიოთ პოტენციური დამსაქმებლები და შევთავაზოთ მათ.

ტარდება შეხვედრები დამსაქმებლებთან

ვფიქრობ, რომ ამას მხოლოდ უნივერსიტეტი ვერ შეძლებს თუ სახელმწიფოსგან არ ექნება ხელშეწყობა.

წარჩინებული სტუდენტებისთვის დასაქმება პრობლემას არ წარმოადგენს და სასწავლო უნივერსიტეტი არსებული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში მუდმივად ორიენტირებულია სტუდენტთა შემდგომ განვითარებასა და დასაქმებაზე.

96.2% თვლის, რომ სწორად არის შერჩეული პროგრამის განხორციელებისათვის სასწავლებლის პარტნიორი ორგანიზაციები (იგულისხმება პრაქტიკის ობიექტი)

3.8% უარს ამბობს პასუხის გაცემაზე

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე დასაქმების ხელშეწყობა სასწავლო უნივერსიტეტის პრიორიტეტულია და უფრო მეტიც მხოლოდ ხელშეწყობის მექანიზმებსაც კი სცილდება სასწავლო უნივერსიტეტის დასაქმების პოლიტიკა

გამოკითხულთა 46.2% ამბობს, რომ მათი აზრით სტუდენტები კურსის განმავლობაში საშუალოდ თვეში 2-3 ჯერ აცდენენ საკონტაქტო საათებს,

- 15.4%- საშუალოდ კვარტალში 2-3ჯერ
- 19.2%- საშუალოდ კვირაში 2-3ჯერ
- 19.2%- უარს ამბობს პასუხზე

საინტერესოა ადმინისტრაცია საიდან ფლობს ამ ტიპის ინფორმაციას?

გაცდენის მიზეზებად სახელდება

დასაქმება, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ტრანსპორტის ხარჯები.

ოჯახური პირობები

ტრანსპორტი, ნაკლები მოტივაცია, დევნილები

უმრავლესობა სტუდენტების დასაქმებულია.

სოციალური მდგომარეობა, დასაქმება.

სტუდენტების დასაქმება.

დაბალი სოციალური ფონი

სტუდენტები დასაქმებულები არიან ძირითადად სტუდენტურ სამუშაოებზე

ყოფილი პირობები

დასაქმება, ფინანსური პრობლემები

ოჯახური პირობები, სოციალური მდგომარეობა

სტუდენტთა ნაწილი მუშაობს, მით უმეტეს გაცდენილი საკონტაქტო საათების ანაზღაურების შესაძლებლობა მათ აქვთ, მიზეზი მძიმე არის სოციალური პირობებიც ინდივიდუალურია, შეიძლება იყოს ოჯახური პირობები პირადი მიზეზი ან სხვა.

სამსახური, სამხედრო სავალდებულო სამსახური, ოჯახური მდგომარეობა.

ალბათ ფაკულტეტის ადმინისტრაციული პერსონალის მიერ მოწოდებული ინფორმაციაა გაცდენების საკითხი და მისი მიზეზები ასე ზუსტად მოწოდებული

96% აბარებს ეტაპობრივად თანამდებობრივ ანგარიშს

4%-არა

კარგი მაჩვენებელია

სასწავლებლის ხარისხის ამაღლებაზე ზრუნვაზე მოვალეობა აკისრია

92.2% ამბობს, რომ თითოეულ თანამშრომელს

დაახლოებით 8% ასახელებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ადმინისტრაციას, ფაკულტეტს და სტუდენტს.

კარგად აქვთ გააზრებული სასწავლო უნივერსიტეტის დანიშნულება და თითოეული რგოლის ფუნქცია მოვალეობები

ავტორიზაციისთვის საჭირო სტანდარტების რაოდენობასთან დაკავშირებით გამოკითხვები აფიქსირებენ შემდეგ მოსაზრებას:

7 სტანდარტი

ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტები

7 სტანდარტი, სტრატეგია, მართვა, რესურსი (ადამიანური, მატერიალური) ინფორმაცია, სტუდენტი, ბიუჯეტი

ადამიანური რესურსი, მოდიფიცირებული პროგრამები, გამართული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და აშ.

1. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მისა და სტრატეგიული განვითარება 2. ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა სრულყოფილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ინფრასტრუქტურა 3. სრულყოფილი საგანმანათლებლო პროგრამები 4. ადამიანური რესურსები 5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის სამსახური 6. კვლევა, გავითარება და შემოქმედებითი საქმიანობა 7. საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

უსდ-ის ავტორიზაციის სტანდარტები შეესაბამება საქართველოს უმაღლესი განათლების მიზნებისა და ევროპის უმაღლესი განათლების სივრცის მოთხოვნებს. სტანდარტები ითვალისწინებს დაწესებულების სრულფასოვან შეფასებას, რაც გულისხმობს უსდ-ის რესურსების, რეგულაციების, განხორციელებული, მიმდინარე და დაგეგმილი საქმიანობის, მიღწეული შედეგების და მისაღწევი შედეგებისათვის შესაძლებლობების (შესაბამისი დაგეგმილი აქტივობები, მათი შესრულების მექანიზმები და გამოყოფილი რესურსები) შეფასებას.

7 სტანდარტი/უნივერსიტეტის მისია, სტრატეგია, ადამიანური, მატერიალური რესურსები, საგანმანათლებლო პროგრამები/

7 /შვიდი/ სტანდარტი 1. სრატეგ. დაგეგმვა 2. მონიტორინგი და შეფასება 3. ადამიანური რესურსები 4. ფინანსური მართვა 5. შესყიდვ. პოლიტიკა, პრინციპები და ადმინისტრ. რეგულირება 6. ეთიკის კოდექსი 7. სამოქალაქო უფლებები

ავტორიზაციის სტანდარტის შვიდივე მუხლი

უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა; საგანმანათლებლო პროგრამები; უსდ-ის პერსონალი; სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები.

უსდს განახლებული ავტორიზაციის სტანდარტის შვიდივე მუხლი.

7 სტანდარტის დაცვა

უნივერსიტეტი უნდა პასუხობდეს იმ ძირითად სტანდარტებს, რაც დადგენილია

1. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება 2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა 3. საგანმანათლებლო პროგრამები 4. უსდ-ს პერსონალი 5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები 6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა 7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

რაც აღიარებულია განათლების სამინისტროს მიერ

1. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება 2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა 3. საგანმანათლებლო პროგრამები 4. უსდ-ს პერსონალი 5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები 6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა 7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

ავტორიზაციის სტანდარტებს ზედმიწევნით კარგად იცნობენ თანამშრომლები

88.5% თვლის, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი სავსებით აკმაყოფილებს საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების მოთხოვნებს

7.7% ამბობს, რომ ნაწილობრივ

3.8% ამბობს, რომ სრულიად არ აკმაყოფილებს

ადმინისტრაცია იცნობს აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციას, საქმიანობის სფეროს

96% ამბობს, რომ შემუშავებულია ბაკალავრიატის/მაგისტრატურის სტუდენტებისათვის ინფორმაციის მიწოდების სისტემა მათი შეფასების, შეფასებასთან დაკავშირებული რეგულაციებისა და შეფასების გასაჩივრების (აპელაციის) პროცედურების შესახებ

4% არ იცის/უარს ამბობს

სასწავლო უნივერსიტეტში საინფორმაციო საკომუნიკაციო სისტემა კარგად მოქმედებს და ქმნის სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს პირობებს

88% ამბობს, რომ უმაღლესი სასაგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა/განხორციელების პროცესში არ აწყდება რაიმე შეფერხებებს გადაწყვეტილების მიღების დროს (დამფუძნებელთან კომუნიკაცია, ბიუროკრატიული პროცედურები, საკანონმდებლო რეგულაციები და სხვა)

4% ამბობს, რომ აწყდება

8% უარს ამბობს პასუხის გაცემაზე

კოორდინირებული საქმიანობის მაგალითია

ინფორმაცია თანაბარი გარემოს უზრუნველყოფის შესახებ

44% ამბობს, რომ არ ჰყავთ სტუდენტი, რომელსაც გააჩნია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება

44% ამბობს, რომ ჰყავთ სტუდენტი, რომელსაც გააჩნია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება

12% არ იცის ან უარს ამბობს პასუხის გაცემაზე

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების სტუდენტების არსებობა სტუდენტთა გამოკთხვით ნაკლები მაჩვენებლით დასტურდება. სასურველია ამ მიმართულებით ქმედითი ღონისძიებების ამოქმედება, სტუდენტებთან მეტი საუბარი სპეციალურ საჭიროებებზე, რომ იყვნენ უფრო ღია და გახსნილები და მიიღონ მეტი შესაძლებელი დახმარება სტუდენტური მომსახურების სერვისების სახით

100%-მა არ იცის რაოდენობა იმ შშმ/სსსმ სტუდენტების, რომლებიც სწავლობენ სასწავლებელში ამ მომენტისთვის

ადმინისტრაციამაც უნდა იცოდეს იმ სტუდენტთა შესახებ რომლებმაც გამოკითხვისას მიუთითეს რომ აქვთ სპეციალური საჭიროება

72.7% ამბობს, რომ უსდ-მ მოახდინა სასწავლო გარემოს ადაპტირება სსსმ/შშმ სტუდენტების საჭიროებებისთვის

13.6%-ნაწილობრივ მოხდა

9.1%-არა

4.5%-უარს ამბობს/არ იცის

ეს ხანგრძლივი პროცესია და საჭიროებს მუდმივ განახლებას

ფიქსირდება შემდეგი მოსაზრებები:

ადაპტირებულია პირველი სართული

2018 წელს სამოქმედო გეგმით განსაზღვრულია პირველი სართულის ადაპტაცია და ლიფტის მონტაჟი

ამ ეტაპზე ამის საჭიროება არ არის, ვინაიდან უნივერსიტეტში ამჟამად არ არიან სსსმ/შშმ პირები

არა მაქვს სტუდენტებთან შეხება

სრულად ადაპტირებულია პირველი სართული.

ადმინისტრაციას უნდა გაეცნოს ის დაგეგმილი საქმიანობები რაც გათვალისწინებულია მიმდინარე სასწავლო წლიდან სართულების ადაპტირებასთან დაკავშირებით

55.6% ამბობს, რომ შშმ და სსსმ პირები ჩართული არიან პრაქტიკულ სამუშაოებში

22.2% ამბობს, რომ არ არიან ჩართული

22.2%-არ იცის/უარს ამბობს პასუხის გაცემაზე

აუცილებელია კონკრეტული მაგალითების მეტი პროპაგანდა რომ ყველამ იცოდეს იმ გარემოს შესახებ, რომელიც შექმნილია და იქმნება შშმ და სსსმ პირებისთვის

64% ამბობს, რომ სასწავლო გარემო ადაპტირებულია შშმ და სსსმ პირებისათვის

36% ამბობს, რომ ნაწილობრივ არის ადაპტირებული

ფიქსირდება მოსაზრებები:

საჭიროებს ლიფტს. დაგეგმილია პირველი სართულის ადაპტირება

მეორე და მესამე სართულის ადაპტირებაა საჭირო

ადაპტირებულია მხოლოდ პირველი სართული

იგეგმება ლიფტის მშენებლობა

საჭიროა ლიფტი

2018 წელს დაგეგმილია უნივერსიტეტის პირველი სართულის სრული ადაპტაცია ზ/აღნიშნული პირებისთვის.

96.2% ამბობს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაში მოქმედებს ადაპტირებული სანიტარული წერტილები შშმ და სსსმ პირებისათვის

3.8% ამბობს, რომ ნაწილობრივ

ადმინისტრაციას უნდა გაეცნოს ის დაგეგმილი საქმიანობები რაც გათვალისწინებულია მიმდინარე სასწავლო წლიდან სართულების ადაპტირებასთან დაკავშირებით

100% ამბობს, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებას ჩაუტარებია სტუდენტებისათვის თემატური ექსკურსიები / ვიზიტები პროგრამების შესაბამის ორგანიზაციებსა და საწარმოებში

100% ამბობს, რომ შემდგარა შეხვედრები სტუდენტებსა და სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლებთან

100% ამბობს, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებას მიუღია მონაწილეობა დარგობრივ გამოფენებში/ფესტივალებში

100% ამბობს, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებას მიუღია მონაწილეობა კონფერენციებში/სემინარებში

100% ამბობს, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებას მიუღია მონაწილეობა ნებისმიერი სახის კულტურული, სპორტული, გასართობი და/ან შემეცნებითი ხასიათის ღონისძიებებში

100% ამბობს, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებას მიუღია მონაწილეობა საერთაშორისო პროექტებში

100% ამბობს, რომ ხორციელდება დაწესებულების შიგნით სტუდენტებისათვის კულტურული, სპორტული, გასართობი და/ან შემეცნებითი ხასიათის ღონისძიებები

აღნიშნული მოწმობს რომ სასწავლო უნივერსიტეტში საკმაოდ ძლიერია სტუდენტური მომსახურება და სტუდენტური ცხოვრება ხელშეწყობილია

44% ამბობს, რომ მუშაობის პერიოდში ჰქონია პროექტის განხორციელების სურვილი

40% ამბობს, რომ არა

16% უარს ამბობს პასუხის გაცემაზე

35.3% ამბობს, რომ პროექტის განხორციელების მიზნით მიმართა რექტორს,

17.6%-პროგრამის ხელმძღვანელს

5.9% საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციის ხელმძღვანელს

41.2%-სხვას

ნორმალური მაჩვენებელია, რაც ადასტურებს რომ სასწავლო უნივერსიტეტი ხელს უწყობს ადმინისტრაციის თვითგანვითარებას

69.2% ამბობს, რომ მოხდა მათ მიერ ინიცირებული პროექტის განხორციელება

15.4% ამბობს, რომ არ მოხდა

15.4%-უარს ამბობს პასუხის გაცემაზე

სასწავლო უნივერსიტეტი საკმაოდ კარგად და ეფექტურად ახორციელებს პროექტების დაფინანსების პოლიტიკას

100% ამბობს, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებაში არის სამედიცინო კაბინეტი

96.2% უსარგებლია სამედიცინო კაბინეტით
3.8%-არა

100% კმაყოფილია ექიმის მომსახურებით

100% ამბობს, რომ ზამთრის პერიოდში ხდება საგანმანათლებლო დაწესებულების გათბობა

96.2% ამბობს, რომ ხდება ვენტილაცია,
3.8% ამბობს, რომ ხდება მაგრამ არ არის საკმარისი

100% ამბობს, რომ დაცულია სანიტარული ნორმები
სასწავლო უნივერსიტეტში მუშაობის თანამშრომელთა ხელმეწყოებისა და მხარდაჭერის მექანიზმები

გამოკითხულები ასახელებ თუ სად შეუძლიათ მიიღონ ამომწურავი ინფორმაცია განათლების სისტემის, განათლების საფეხურების, საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო პროცესის დაგეგმვის და სხვა, შესახებ. ესენია:

უნივერსიტეტის ვებ-გვერდი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ვებ-გვერდი, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ვებ-გვერდი eqe.ge

სხვადასხვა ვებ გვერდზე

ფაკულტეტებზე, პროფესიული განვითარების სამსახურში.

უნივერსიტეტის რექტორი, სასწავლო -სამეცნიერო სამსახური, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე ინტერნეტში, განათლების სამინისტროს გვერდზე, ჩვენი უნის ვებგვერდზე შესაბამის სამსახურებში, ვებ გვერდებზე.

უნივერსიტეტის რექტორთან, ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან, პროფესიული განათლების განვითარების სამსახურის უფროსთან, ვებ-გვერდზე შესაბამის სამსახურში

eqe.ge , [mes.gov.ge.](http://mes.gov.ge), უნივერსიტეტის ვებ გვერდი

საქ. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ვებ-გვერდზე, ხარისხის ეროვნული ცენტრის და უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე

უწყვეტი განათლების ცენტრში

www.zssu.ge, eqe.ge, mes.gov.ge

სასწავლო განყოფილებაში

www.naec.ge,

სასწავლო სამსახურში

სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაცია კარგად იცნობს ინფორმაციის მოძიების წყაროებს

ფიქსირდება დამატებითი მოსაზრება.

რეგიონებში უმაღლესი განათლება უნდა იყოს ფინანსურად განსაკუთრებით ხელშეწყობილი, რამდენადაც ახალგაზრდობის მიგრაცია დედაქალაქში და შემდგომ მათი იქ დამაგრება უკვე უდიდეს მასშტაბებს აღწევს